ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

რუსთაველის გამზირი №52 (ყოფილი "საქნახშირი"-ის შენობა)



თბილისი

ოქტომბერი, 2015

რუსთაველის გამზირი №52 კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი, ყოფილი „საქნახშირის“ შენობა, თბილისის ურბანული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია. ამ მონუმენტური ე.წ. “სტალინური“ სტილის ნაგებობის ერთი ნაწილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს უკავია, ხოლო მეორე, ძმები კაკაბაძეების ქუჩისკენ მიმართული მხარე საქართველოს ეროვნული კინოკავშირის კუთვნილებაა.






რუსთაველის, ყოფილი გოლოვინის პროსპექტი, მე-XIX საუკუნის II ნახევრიდან დღემდე თბილისის მთავარი გამზირია, რომელიც ქალაქის ცენტრს მარჯვენა სანაპიროზე მდებარე რაიონებს აკავშირებს. ქუჩა გადაჭიმულია ქალაქის მთიანი რელიეფის ერთ-ერთ ტერასაზე და გამზირიდან მტკვრის სანაპიროზე ეშვება. გამზირის გასწვრივ მდებარე შენობები (მათ შორის საკვლევი შენობაც) კარგად ჩანს ქალაქის სხვადასხვა კუთხიდან და ამის გამო მნიშვნელოვან როლს თამაშობს თბილისის ცენტრის სივრცითი კომპოზიციის და მხატვრული სახის ფორმირებაში. გამზირის სხვადასხვა სტილის და პერიოდის განაშენიანებაში მაგისტრალის ფორმირების ძირითადი ეტაპები იკითხება. რუსთაველის გამზირის ინტენსიური მშენებლობა XIX ს-ის II ნახევარში დაიწყო, როცა ქალაქმა ჩრდილო-დასავლეთისკენ დაიწყო განვითარება.

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 წელს შედგენილ ქალაქის რუკაზე ამჟამინდელი გამზირის გასწვრივ, ქალაქის კარიბჭედან საგარეუბნო კვარტალზე - "გარეთუბანზე" გადის დიღმის გზა, სადაც რამდენიმე ეკლესიაა აღნიშნული


აღმოსავლეთით. 1802 წლის გეგმაზე ნაჩვენებია პირველი მსხვილი შენობა – "სამთავრობო ადგილები" (ამჟამინდელი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ადგილას), რომელიც 1807 წელს გადაკეთდა მთავარმართებლის სასახლედ. 1910-იან წლებში იწყება გზის ამ მხარის ფორმირება, რომელსაც ჯერ ისევ არ ჰქონდა სახელი. მთავარმართებლის სასახლის მოპირდაპირე მხარეს მოეწყო ქალაქის მთავარი მოედანი – ნიკოლაევსკი, სადაც ეწყობოდა დღესასწაულები, დოღი, ფეიერვერკი. 1833-35 წწ. შეადგინეს "გარეთუბნის" და მისი მთავარი ქუჩის, ამჟამინდელი გამზირის განაშენიანების გეგმა. 40-იანი წლების ბოლოს დაიწყო პროსპექტის კეთილმოწყობა. 1848 წელს სასახლის მხარეს მოეწყო ტროტუარი და დაირგო ხეები. 1862 წელს გაიყვანეს წყალგაყვანილობა. 50-იანი წლების ბოლოს გოლოვინის პროსპექტი თითქმის მთლიანად განაშენიანებულია. ამ პერიოდის ჩანახატებზე აღბეჭდილია თბილისისთვის დამახასიათებელი ევროპული და აზიური ჩვეულებების, ადათ-წესების, ქალაქური ცხოვრების სხვადასხვაგვარი იერსახის შერწყმა. გოლოვინის პროსპექტის გასწვრივ ნაკვეთებს მხოლოდ მეფისნაცვალის ნებართვით იძლევიან, ქალაქის თვითმმართველობის შემოღების შემდეგაც კი.




ხარისხობრივად ახალ ხასიათს განაშენიანება მე-XIX საუკუნის 60-90-იანი წლებიდან იღებს. პროსპექტზე შენდება მონუმენტური საზოგადოებრივი შენობები, რომლებმაც რადიკალურად შეცვალა განაშენიანების საერთო მასშტაბი და პროსპექტს საზეიმო იერი მიანიჭა. სტილისტურად სხვადასხვა სახის შენობები ასახავდა სხვადასხვა არქიტექტურულ გავლენას. ამ წლებში პროსპექტზე და მიმდებარე კვარტლებში მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. 80-იან წლებში ერევანსკის (თავისუფლების) მოედნიდან ვერის დაღმართისკენ (ამჟამად ელბაქიძის დაღმართი), გოლოვინის პროსპექტის გავლით, გაყვანილ იქნა საცხენოსნო რკინიგზა ("კონკა"), რომელიც 1905 წელს ტრამვაიმ შეცვალა.




საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ქალაქის მთავარ ქუჩაზე რუსთაველის გამზირის კეთილმოწყობის სამუშაოები ტარდება. 1930-იან წლებში ფართოვდება "სასახლის გასასვლელი" და პროსპექტი ერწყმის ქალაქის მთავარ მოედანს – ლენინის მოედანს (მაჟამად თავისუფლების მოედანი). პროსპექტზე ხსნიან ტრამვაის ხაზს. 1965 წელს იხსნება მეტროპოლიტენი - გამზირის დასაწყისში და ბოლოში ჩნდება მეტროს 2 სადგური. ამავე დროს ხდება გამზირის გამწვანება. რუსთაველის გამზირის ბოლოს, მარცხენა მხარეს, ვერის დაღმართის წინ დგას შენობა, რომელიც თავიდან დაპროექტდა როგორც "საქნახშირის" ადმინისტრაციული შენობა (არქიტექტორები კ. ჩხიკვაძე და მ. ჩხეიძე – დაპროექტება და მშენებლობა 1949-1954 წწ., "საქმაღაროპროექტი"-ს მიერ). მშენებლობას წინ უსწრებდა კონკურსი 1946 წელს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო იმ დროს თბილისში მოღვაწე არქიტექტორთა უმრავლესობამ. საქართველოს საისტორიო არქივის ტექნიკურ განყოფილებაში ინახება კონკურსის საპროექტო დავალებისა და საკონკურსო ალბომის დედნები, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ თავდაპირველად „საქნახშირის“ შენობისთვის წაყენებული იყო გარკვეული არქიტექტურულ-კომპოზიციური მოთხოვნები, რომლებსაც თითქმის ყველა კონკურსანტი იზიარებს.





კონკურსის ფოტოალბომიდან ჩანს, რომ მასში მონაწილეობა მიიღეს იმ დროს თბილისში მოღვაწე სახელგანთქმულმა არქიტექტორებმა: მ. შავიშვილმა, ზ. ქურდიანმა, ნიკოლაიშვილმა, ხიმშიაშვილმა, ი. ზაალიშვილმა, თევზაძემ, ი. ჩხენკელმა, ვ.კალაშნიკოვმა, ფიცხელაურმა ლენტოვსკისთან ერთად. განსაკუთრებული მხატვრული ღირებულებით გამოირჩევა ვ. კალაშნიკოვის ესკიზები.





კონკურსანტების უმრავლესობა იზიარებს მონუმენტური საბჭოთა არქიტექტურის პრინციპებს, თუმცა, მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ახერხებს უნიფიცირებული „სტალინური" სტილის ფარგლებში ეროვნული ნიშნების შეტანას.






ამავე ალბომში ვხვდებით უკვე გამარჯვებული პროექტის კ. ჩხიკვაძისა და მ. ჩხეიძის არქიტექტურულ ესკიზებსაც.







უნდა აღინიშნოს, რომ "საქნახშირის" შენობის არქიტექტურა XX საუკუნის 40-იანი წლების დასასრულისა და 50-იანი წლების დასაწყისის საბჭოთა არქიტექტურაში პომპეზურობის ტენდენციის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. შენობა საქართველოში მსგავსი არქიტექტურული ტიპის ერთ-ერთი უკანასკნელი მაგალითია. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება იცვლება – 1955 წელს საქართველოს არქიტექტორთა მე-3 ყრილობაზე, სადაც განიხილეს ტიპური და საცხოვრებელი მშენებლობა – ცხადდება ბრძოლა არქიტექტურაში "ზედმეტობის" წინააღმდეგ და ნაგებობათა არქიტექტურული სახე იქმნება არა ძვირადღირებული დეკორატიული გაფორმებით, არამედ, მითითების მიხედვით, ფუნქციონალურად, რაც შენობის დაგეგმვით, კონსტრუქციებითა და მასალის შესაბამისობით უნდა მიღწეულიყო. ამ დროიდან მკვეთრად იცვლება საქართველოში მიმდინარე მშენებლობის და არქიტექტურის მასშტაბი და ხასიათი. "საქნახშირის" მსგავსი შენობები აღარ შენდება.










გასაოცარია ის გაქანება და ფინანსური ხარჯები, რომელიც სახელმწიფომ გაიღო ამ ერთ-ერთი უწყებრივი შენობის მიმართ. არქივში შენახული პროექტი სრულ დოკუმენტაციას ინახავს როგორც ნაგებობის არქიტექტურული იერსახის, ასევე მისი ტექნიკური აღჭურვის და გაწეული ხარჯების თაობაზე. ამის ახსნა შესაძლებელია არა მხოლოდ იმით, რომ „საქნახშირი“ ქვეყნის ინდუსტრიის ერთ-ერთ ფლაგმანს წარმოადგენდა, არამედ იმითაც, რომ ეს მონუმენტური შენობა ქალაქის შუაგულში, რუსთაველის მოედანზე იდგმებოდა.

საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის ტექნიკურ განყოფილებაში ინახება "საქნახშირის" სამუშაო პროექტი, რომელიც შემუშავებულია ნახშირის მაღაროს საპროექტო საკავშირო ტრესტის "კავშირმაღაროპროექტის" მიერ "საქმაღაროპროექტის" ინსტიტუტში 1946-49 წლებში (1951-53 წლებში შესწორებებით).


ВНУТРЕННИЙ ОПИСЬ
научно-технических документов, находящихся в деле I
отобранных на государственное хранение.

п/п	Обозначение	Наименование документа	№ № листов	Формат	Примечание
I	2	3	4	5	6
		Архитектура.			
1		[illegible]	СД-1		
2		I-საბადოები მშენ	СД-2		
3		II-საბადოები მშენ	СД-3		
4		[illegible]			
5		[illegible]	СД-4		
6		III-საბადოები მშენ	СД-5		
7		IV-საბადოები მშენ	СД-6		
8		[illegible]	СД-7		
9		[illegible]	СД-11		





ВНУТРЕННИЙ ОПИСЬ
научно-технических документов, находящихся в деле I
отобранных на государственное хранение.

п/п	Обозначение	Наименование документа	№ № листов	Формат	Примечание
I	2	3	4	5	6
		Проектное задание			
1.		План первый	№1		
2.		План 1-го этажа	№2		
3.		План 2-го этажа	№3		
4.		План 3-го этажа	№4		
5.		План 4-го этажа	№5		
6.		План 5-го этажа	№6		
7.		Разрез 1-1	№7		
8		Разрез 2-2	№8		
9		Разрез 3-3	№9		
10		Генплан	№14.		
Всего		10 (десять) листов документов			

ст. арх. 21. [illegible]
21. 05. 51.

პროექტის ავტორები კ. ჩხეიძე და მ. ჩხიკვაძე; კონსტრუქტორი ცაგურია. პროექტი გამოირჩევა მაღალმხატვრული ტექნიკური შესრულებით და იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი ზედმიწევნითი დეტალიზაციით. პროექტი და თანდართული განმარტებითი ბარათი საშუალებას გვაძლევს ზუსტად აღვადგინოთ ავტორების თავდაპირველი ჩანაფიქრი.




განმარტებითი ბარათის თანახმად, „საქნახშირის“ მშენებლობისათვის თანხა გამოიყო სსრკ-ს დასავლეთის რაიონების ნახშირწარმოების სამინისტროს მიერ.

რუსთაველის სახელობის მოედანი ქალაქის გენგეგმის შესაბამისად გაფართოვდა და მასზე დატანილ იქნა „საქნახშირის“ მშენებარე შენობისათვის წითელი ხაზები. ავტორების მიერ ძირითად სამშენებლო მასალად მოპირკეთებული რკინა-ბეტონის კონსტრუქციაა ჩაფიქრებული.

შენობის მოპირკეთება ძვირადღირებული ეკლარის თეთრი ქვით ხდება. ასევე მითითებულია ტერაკოტის, მოჭიქული კერამისკის, ოქსიდირებული ლითონის, მარმარილოსა და სხვა ძვირფასი ქვებია გამოყენება მცირე ფორმების მოპირკეთებისათვის.

ინტერიერში მარმარილოსთან ერთად მითითებულია ძვირადღირებული - კაკლის, მუხის, შავი და წითელი ხის მასალა. დეტალების შემკულობაა ოქრო, ვერცხლი, ალუმინი და ნიკელი. განსაკუთრებულად ხაზგასმულია კოლონადის ქვეშ იატაკის მოზაიკის მოპირკეთება.



ძალზე საინტერესოდ არის დასაბუთებული შენობის ვიზუალური აქცენტების განაწილების ლოგიკა, რომელიც ავტორთა თქმით, მთლიანად ეფუძნება ქართული ტრადიციული ხუროთმოძღვრების პლასტიკურ არქიტექტურულ პრინციპებს.

ავტორებს ღრმად აქვთ გააზრებული შუასაუკუნებრივი ქართული არქიტექტურის თავისებურება სხვა ერების მსგავს გამოცდილებასთან მიმართებაში და ამის შედეგად მიღებული აქვთ გადაწყვეტილება, რომ მსხვილი ფორმების დანაწევრება ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მომგებიანია, რადგანაც არ ქმნის შუქ-ჩრდილის თამაშს და სიბრტყობრივად აღქმება. საპირისპიროდ ამისა, დასავლეთის მხარე აღიქმება შორიდან და მზის სხივები მომგებიანად გამოკვეთენ მასზე როგორც მსხვილ ფორმებს, ასევე მცირე დეტალებს. გარდა ამისა, კერამიკული და ტერაკოტის დეტალების ჩართვა ფასადზე საჭირო ფერადოვან აქცენტებს შექმნის (ეს ფაქტურები საბოლოოდ გამოყენებული არ იქნა).

კოშკი, როგორც ვერტიკალი, მელიქ კაზარიანცის სახლის საპირწონეს წარმოადგენს. ის აქცენტირებს და ხაზს უსვამს შენობის კუთხოვან გადაწყვეტას, ხოლო მისი არქიტექტურა გვამცნობს, რომ ის არა სამხედრო ან საკულტო, არამედ საერო დანიშნულების ნაგებობას წარმოადგენს.

ავტორების აზრით, შენობის არქიტექტურაში გამოყენებულია საქართველოს ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი სახასიათო მხარე - არქიტექტურის თანდათანობითი აღქმა მნახველის მიერ, რაც მიღწეულია სვეტნარის, შიდა ეზოს, მთავარი ვესტიბიულის და სხვა მზარდი მხატვრული კომპონენტების თანამიმდევრობითი წარმოჩენით.


მნახველთა ძირითად განმანაწილებლად პროექტში შიდა ეზოს სივრცეა ჩაფიქრებული, რომლიდანაც ადამიანები უშუალოდ ხვდებოდნენ როგორც შენობის სხვადასხვა ნაწილებში, ასევე სასადილოში. შიდა ეზო ღამის საათებში ლითონის ცხაურით იკეტებოდა. მაშინდელი ლენინის, ამჟამად რუსთაველის გამზირის მხარეს პირველი სართული იმთავითვე მაღაზიებისთვის იყო განკუთვნილი. საინტერესოა, რომ თავიდპირველად სასადილოს სივრცე იხსნებოდა სვეტნარისკენ ეზოში, რომლის ცენტრში შადრევანი იყო განთავსებული.

ქართულ არქიტექტურაში გამორჩელი ღირებულების გამო, XX ს-ის 90-იანი წლებიდან საკვლევი შენობა წარმოადგენს თბილისის კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ობიექტს - ძეგლის საადრიცხვო ბარათი № 010208001 (უკანასკნელ პერიოდამდე ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი).




შენობა მთავარი ფასადით გამზირზე გამოდის, ხოლო გვერდით კედელს და კოშკს მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე უკავია. გამზირზე გამომავალი ჰორიზონტალური 5-სართულიანი ნაწილი 55-მეტრიანი კოშკით სრულდება. მასიური კოშკი გამზირის პერსპექტივას ასრულებს. სამხრეთულ ქალაქს კარგად ერწყმის შენობის პირველი იარუსის გამჭოლი არკადა, რომელიც მოპირკეთებულია გაპრიალებული გრანიტით.

შენობას ასრულებს რთულპროფილიანი პარაპეტი. ნაგებობა გამორჩეულია სხვა შენობებისგან მხატვრული კომპოზიციით და მოსაპირკეთებელი ქვის, ბოლნისის ტუფის ოქროსფერით. კავშირი წინა და გვერდით კორპუსებს შორის დამყარებულია კოშკის ნაწილისა და მასში მოთავსებული პარადული კიბის საშუალებით. თუმცა, დღეს წინა და გვერდითა კორპუსს შორის ფუნქციები გაყოფილია და მათ შორის კავშირი დარღვეულია. ამის გამო, კუთხის კოშკი პრაქტიკულად ფუნქციური დატვირთვის გარეშე არის დარჩენილი.













როგორც ითქვა, შენობის იერსახე ნათელი მაგალითია XX ს-ის 50-იან წლებში გაბატონებული პომპეზური სტილისა. ამასთან, ხაზგასასმელია ავტორების მიერ ამავე სტილის ფარგლებში ეროვნული ფორმებისა და მოტივების ოსტატური გამოყენება, რაც აისახა პირველი სართულის თაღედის არქიტექტურულ გადაწყვეტაში და სხვა დეკორატიულ მოტივებში.

უკანსკნელი ათწლეულების განმავლობაში თბილისის ამ გამორჩეულმა ნაგებობამ მრავალი შეუსაბამო გადაკეთება განიცადა, რომელთაგან ის ვერც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსმა დაიცვა, კერძოდ, შენობის გვერდითი ნაწილის ექსტერიერზე განთავსდა რამოდენიმე სავაჭრო ობიექტი, რომელთა სარეკლამო აბრები და გაფორმება სრულიად შეუსაბამოა ძეგლის ღირებულებასთან. ეს ეხება როგორც სხვადასხვა დანიშნულების ჯიხურებს, ასევე ფასადის კუთხეში მოქცეულ რესტორანს „შემოიხედე გენაცვალე“, ფიროსმანის მოტივებზე შესრულებული ვეებერთელა აბრით და მისი შესასვლელის წინ ბუჩქებით მოსაზღვრული ტალავერით?!







შენობის ფასადზე ასევე ნაწილობრივ ჩამოცვენილია ბოლნისის ტუფის თლილი პერანგი და დაზიანებულია ქვის აივნები, თუმცა, მთლიანობაში მონუმენტური ფასადი თავის გამომხატველობას ჯერ კიდევ ინარჩუნებს.

სავალალო მდგომარეობაშია შენობის გვერდითი, გაბაშვილის ჩიხისკენ გამავალი ფასადი, რომელზედაც წლების განმავლობაში მრავალი გადაკეთება მოხდა და ამასთან, მთელი შენობის ტექნიკური აღჭურვილობა - კონდიციონერები ამ ფასადზეა დამაგრებული, რაც ქალაქიდან მეტად მძიმე სანახაობას წარმაოდგენს.





ეს ფასადი უსახურად არის გალესილი ცემენტით და ეს ნალესობაც ნაწილობრივ ჩამოცვენილია, ამასთან, ადვილი ამოსაცნობია თავდაპირველი არქიტექტურული კომპოზიცია. ვფიქრობ, მოწესრიგების შემთხვევაში, ის შესანიშნავად წარმოაჩენდა ისტორიული შენობის გვერდით მხარეს.

ეზოს მხრიდან „საქნახშირის“ შენობას ღია ატრიუმის სივრცე აკრავს, რომელიც ნაწილობრივ ქალაქის მფლობელობაშია. კინოკავშირს ეკუთვნის მცირე ღია გალერეა, რომელიც მსხვილი კაპიტელიანი სვეტებით არის მოსაზღვრული. ამ გალერეიდან ღიობის გახსნისა და ღია სივრცის ათვისების შემთხვევაში, გაჩნდება საშუალება ღია ეზოსთან უშუალო კავშირის დასამყარებლად, ხოლო კინოკავშირს დამატებითი საზოგადოებრივი სივრცით დატვირთული ნაწილი გაუჩნდება.





შენობის ინტერიერში ორი კინოდარბაზის სივრცე არსებობს, როგორც თავდაპირველად იყო ჩაფიქრებული, კინოთეატრი პომპეზური ფორმებით გამოირჩეოდა. მაღალი სივრცე სამი თაღოვანი ღიობით ფასადის მხარეს იხსნება, ხოლო შესასვლელი კარებით სადღესასწაულოდ გადაწყვეტილ ვესტიბიულს უკავშირდება.








ამჟამად დარბაზი სავალალო მდგომარეობაშია, სრულიად გაძარცვულია და გამოშიგნული და სასწრაფო სარემონტო სამუშაოებს მოითხოვს იმისთვის, რომ ფუნქციონირება შეძლოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

კინოს სახლში კიდევ მეორე, მცირე დარბაზი არსებობს, რომელიც თავდაპირველად პროექტის მიხედვით რესტორნის სივრცედ იყო ჩაფიქრებული. მცირე დარბაზი შედარებით გამართულია, მაგრამ მისი ინტერიერი ასევე შეუსაბამოა თანამედროვე კინოსივრცის მიმართ არსებული მოთხოვნებისა.





კინოს სახლის ინტერიერში შემორჩენილია ღირებული აუთენტური მხატვრული ელემენტები, თუმცა, უმეტესობა მათგანი შელახულია და რესტავრაციას ითხოვს. ასეთია მაგალითად, კაზინოდ გადაკეთებული დარბაზის მხატვრული გაფორმება, რომლის ჭერის დეკორი გადაღებილია ოქროსფრად და თითქმის მთლიანად დაკარგული აქვს თავდაპირველი გამომსახველობა.






შენობის საზეიმო ვესტიბიული, რომელიც ორ იარუსად არის განთავსებული, თავდაპირველად შემკული იყო მარმარილოს სვეტების რიგით. სამწუხაროდ, ეს ძვირადღირებული ელემენტი დაკარგულია და ჩანაცვლებულია ბუტაფორული გიფსის სვეტებით. წითელი მარმარილოს მოპირკეთება შემორჩა მხოლოდ კიბის გვერდით კედლებს.






ასევე შეცვლილია და ბუნდოვანი თავდაპირველი გეგმარებითი სტრუქტურა, რომელიც შესანიშნავად იკითხება პროექტში, მაგრამ ადგილზე მრავლობითი ჩაშენებებითა და გადასასვლელებით არის გაუფასურებული.







რეკომენდაციები

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რუსთაველის გამზირი №52, კინოკავშირის კუთვნილებაში მყოფი ნაწილის რეკონსტრუქცია-ადაპტაციის პროექტი გულისხმობს ძეგლის შიდა სივრცის მოწესრიგებას და ფასადზე არსებული შეუსაბამო ელემენტების მოშორებას. ამისთვის, გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომენდაციები:

- შენობის იტერიერში არსებული დიდი კინოდარბაზი მთლიანად გასაახლებელია ავთენტური პროექტის მიხედვით, ამასთან, მასში უნდა მოხდეს თანამედროვე კინოტექნოლოგიის მოთხოვნის მიხედვით სივრცის ადაპტაცია. ძეგლის მახასიათებელი აუთენტური მხატვრული ელემენტები, ისეთები, როგორიც არის ფასადზე გამავალი სამი დიდი ღიობი უნდა დარჩეს ხელუხლებელი.
- მცირე კინოდარბაზის შიდა სივრცე მთლიანად გამოსაცვლელია თანამედროვე სტანდარტების მიხედვით.
- ვესტიბიულებისა და კინოდარბაზების კავშირი გასააზრებელია თავიდან ძველი პროექტის გამოყენებით, ამასთან, არ გამოვრიცხავ ახალი მოდგომით შიდა სივრცის გადაგეგმარებას მეტი კომფორტულობისათვის.
- საზეიმო ვესტიბიულის ინტერიერი გასაახლებელია ფერში, რადგანაც არსებული მწვანე სვეტები არ შეესაბამება თავდაპირველ ჩანაფიქრს და ამძიმებს ინტერიერს.
- მისაღები დარბაზი, რომელიც ადრე მცირე კინოდარბაზს შეიცავდა, გასანთავისუფლებელია გვიანდელი ჩაშენებული ტიხრებისგან, ხოლო მის ჭერზე არსებული თავდაპირველი ორნამენტი ოქროსფერი საღებავისგან, ასევე, ჩამოსახსნელია ჭერის მოხატულობა და მის ქვეშ მოსაძებნია თავდაპირველი ნახატი.
- შენობის გარე ფასადზე მოსახსნელია შესასვლელი ღიობების ირგვლი არსებული სარეკლამო ბანერები. ახალი ბანერის განთავსება უნდა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის კანონთან მკაცრი შესაბამისობით.
- შენობის გვერდითი ფასადი მთლიანად მოსაწესრიგებელია თავდაპირველი პროექტის მიხედვით და მასზე განთავსებული სავენტილაციო სისტემებისთვის შესამუშავებელია ახალი საინჟინრო-ტექნიკური პროექტი.

- ძეგლის ეზოში არსებული ღია გალერე-სვეტნარიდან შესაძლებელია გაიხსნას ღიობი, რომელიც საშუალებას მისცემს ამ სივრცის ადაპტაციას.
- საინტერესო შედეგი შეიძლება მოგვცეს ძეგლის შიდა ეზოსა და გაბაშვილის ქუჩისკენ გამავალი ნაწილის დაკავშირებამ.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი